

ოქმი № 3-3

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა, ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა, სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიების გაერთიანებული სხდომის

2020 წელი, 10 მარტი

ქ. ოზურგეთი

12.00-13.00 საათი

თავმჯდომარეობდნენ: ლ. საჯაია, ე. გორდელაძე - მუდმივმომქმედი კომისიების თავმჯდომარეები

ესწრებოდნენ: კომისიათა წევრები: მ. ზოიძე, ნ. ორაგველიძე, ჯ. თავართქილაძე, ლ. ნინიძე, ლ. სიჭინავა, ლ. ბიგვავა, დ. მდინარაძე, დ. მამალაძე, შ. გოგიბერიძე, ბ. დოლიძე, გ. კილაძე, ვ. ჩხაიძე, ვლ. ბერიძე, მ. ჩხიკვიშვილი, რ. სკამკოჩაიშვილი, გ. ჩაგანავა, გ. ჩავლეშვილი.

სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგი, რომელიც დაამტკიცეს ერთხმად.

დღის წესრიგი

1. მოზარდი თაობისა და ახალგაზრდების ფიზიკური, მორალური, მშენებელი განვითარების პროექტის შესახებ.

მომხსენებელი: ლელა საჯაია

თანამომხსენებელი: ავთანდილ თავართქილაძე

2. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის მე-4 კვარტლის გეგმის შესრულების ანგარიშის შესახებ.

მომხსენებლები: ლელა საჯაია, ეროდი გორდელაძე

თანამომხსენებელი: პავლე ჭყონია

3. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ბაილეთის, მერიისა და ჯუმათის ადმინისტრაციულ ერთეულებში, მოსახლეობის გამოკითხვის შედეგების

საფუძველზე, მუნიციპალური ნარჩენების მართვის სფეროში გამოვლენილი საჭიროებების (პრობლემების მოგვარების ხელშეწყობის თაობაზე- „საქართველოს დემოკრატიული განვითარების კავშირის“ სარეკომენდაციო წერილის შესახებ.

მომხსენებელი: ლელა საჯაია

4.ახალგაზრდული ფორუმის მომართვის შესახებ.

მომხსენებელი: ლელა საჯაია

კომისიის წევრებმა მოისმინეს სხდომის თავმჯდომარის ლ. საჯაიას მოკლე ინფორმაცია მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლებში ქართული ტრადიციული საბრძოლო ხელოვნების-ხრიდოლის სწავლებისა და პოპულარიზაციის თაობაზე მუნიციპალიტეტში შემოსული საინიციატივო პროექტის შესახებ, ხოლო ვრცლად მასზე ისაუბრა ინიციატივის ავტორმა ავთანდილ თავართქილაძემ.

მუნიციპალიტეტის მერიის დარგობრივი სამსახურის უფროსმა მარინა ჯაფარიძემ განაცხადა, რომ ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებისათვის ხელშეწყობა მოსწავლე-ახალგაზრდობაში - სახელმწიფო პოლიტიკაა, ამიტომ მისასალმებელია ეს ინიციატივა და სამსახური მხარს უჭერს პროექტს, მისი ბიუჯეტიდან, შესაბამისი ცვლილების შეტანის შემთხვევაში მოხდება პროექტის დაფინანსება.

კომისიის წევრმა ლ. ბიგვაჯამ აღნიშნა, რომ ქვეყნის ერთ-ერთ სამხედრო ნაწილში ხდება ხრიდოლის სწავლება, რომელმაც სამხედრო ექსპერტების მოწონება დაიმსახურა. კომისიის წევრებმა იმსჯელეს და გადაწყვიტეს მხარი დაუჭირონ პროექტს და შესაბამისი წერილით მიმართონ მუნიციპალიტეტის მერიას.

კომისიათა წევრებმა მოისმინეს და იმსჯელეს მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის მიერ შემოტანილ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის მე-4 კვარტლის გეგმის შესრულების (ნაზარდი ჯამით) წარმოდგენილ ანგარიშზე, თავად თანამომხსენებელმა აღნიშნა, რომ ანგარიში წარმოდგენილი იქნა ვადების დარღვევით, კომისიათა წევრებმა გადაწყვიტეს მხარი დაუჭირონ მის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად წარდგენას და შენიშვნები ასახონ კომისიათა ერთობლივ დასკვნაში. ამასთან სხდომის თავმჯდომარემ ლ. საჯაიამ გამოთქვა აზრი მუნიციპალიტეტის ვებგვერდზე ბიუჯეტის გზამკვლევისა და საკრებულოს წევრებისათვის ცალკე განყოფილების შექმნის შესახებ.

სხდომის თავმჯდომარემ ლ. საჯაიამ კომისიის წევრებს გააცნო ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ბაილეთის, მერიისა და ჯუმათის ადმინისტრაციულ ერთეულებში, მოსახლეობის გამოკითხვის შედეგების საფუძველზე, მუნიციპალური ნარჩენების მართვის სფეროში გამოვლენილი საჭიროებების (პრობლემების მოგვარების ხელშეწყობის თაობაზე-

„საქართველოს დემოკრატიული განვითარების კავშირის“ სარეკომენდაციო წერილი და ახალგაზრდული ფორუმის მომართვა, რომლებზეც იმსჯელეს და მიიღეს შესაბამისი გადაწყვეტილება.

გადაწყვეტის:

1. დამტკიცდეს კომისიათა ერთობლივი დასკვნა (თან ერთვის) და ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ წარმოდგენილი - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის მე-4 კვარტლის გეგმის შესრულების ანგარიში წარდგენილ იქნას საკრებულოს მომდევნო სხდომაზე განსახილველად.

2. მოზარდი თაობისა და ახალგაზრდების ფიზიკური, მორალური, მშენებელი განვითარების პროექტის თაობაზე-მომზადდეს შესაბამისი წერილი და გადაეგზავნოს მუნიციპალიტეტის მერიას (კ. შარაშენიძე).

ლელა საჯაია

კომისიის თავმჯდომარე
განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა, ჯანმრთელობისა და სოციალურ
საკითხთა კომისია

ეროდი გორდელაძე

კომისიის თავმჯდომარე
სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისია